

სასწავლო პროცესისა და ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში

2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ.

2018 წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს ათ ამოცანას. სამოქმედო გეგმის ფორმის შესაბამისად, თითოეული ამოცანა ჩაშლილია აქტივობებად, თვეების იხედვით არის გაწერილი და ასევე მოიცავს ინფორმაციას საჭირო რესურსებისა და ინდიკატორების, შემსრულებელი, პასუხისმგებელი და საქმიანობაში ჩართული პირების შესახებ. სამოქმედო გეგმის შესრულება წინასწარ დაგეგმილ ვადებში დამოკიდებულია როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებზე. სამოქმედო გეგმის ანგარიშის სტრუქტურა განისაზღვრა ანალიზის მნიშვნელოვნების გათვალისწინებით და იმისათვის რომ დადგინდეს, რამდენად შესრულდა სამოქმედო გეგმის თითოეული ამოცანა, რა იყო ხელისშემშლელი მიზეზი, და რამ გამოიწვია ამოცანის ზედმიწევნით შესრულება ან / და შეუსრულებლობა, ასევე მნიშვნელოვანია, რა იყო ისეთი, რაც არ იქნა წინასწარ გაწერილი სამოქმედო გეგმაში დაფიქსირებული და მისი შესრულება გახდა საჭირო. გათვალისწინებით თითოეული ამოცანის შესრულების მაჩვენებელს პროცენტებში და იმ მიზეზებს, რამაც განაპირობა შეუსრულებლობა:

	ამოცანა	შესრულება %-ში	შეუსრულებელი ამოცანის შერულების ახალი ვადები	შეუსრულებლობის მიზეზი
1	თეგეტა აკადემიის მხარდამჭერი სამართლებრივი ბაზის შექმნა	100%	-	-
2	ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემუშავება	100%	-	-
3	პროგრამის განხორციელებისთვის მატერიალური რესურსის საკუთრების/მოხმარების უფლების დადასტურება	100%	-	-
4	ვებგვერდის კონტენტის ფორმირება	100%	-	-
5	პერსონალის მიღება და ამ პროცესთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების გამართულობა	100%	-	-
6	მასწავლებელთა, ადმინისტრაციის და ინსტრუქტორების გადამზადება/ტრენინგი	100%	-	-
7	საგანმანათლებლო საქმიანობის უფლების მოპოვება	90%	2019 წლის იანვარი	ავტორიზაციის საბჭოს შეკრება
8	საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება	0%	2019 წლის თებერვალი-მარტი	გარე ფაქტორები <sup>1</sup>

<sup>1</sup> ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაწესებული ვადები და სამოქმედო გეგმის მიხედვით განსაზღვრული ვადები შეუსაბამოა და ჩვენ მიერ დაგეგმილი პროცესი, რომელიც ავტორიზაციის მოპოვებას და სასწავლო პროცესის განხორციელების დაწყებას გულისხმობდა 2018 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ვერ განხორციელდა გეგმის შესაბამისად.

9	სასწავლო განხორციელება	პროცესის	0%	2019 წლის თებერვალი-მარტი	გარე ფაქტორები
---	------------------------	----------	----	---------------------------	----------------

პროფესიული პროგრამებისთვის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების განხილვა შედგა 2018 წლის 12 დეკემბერს შპს თეგეტა აკადემიის ადმინისტრაციის წევრების მონაწილეობით, ყურადღება იქნა გამახვილებული შესრულების და შეუსრულებლობის მიზეზებზე, საქმიანობის გუნდურად მიდგომის დადებით მხარეზე და ასევე ადმინისტრაციული რესურსის, პროფესიული მასწავლებლებისა და ინსტრუქტორების, ინფრასტრუქტურისა და სასწავლო მასალების არსებობაზე, როგორც თეგეტა აკადემიის მხრივ ძლიერ მხარეებზე. 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულება მოხდა დაახლოებით 91%-ით, რაც უკავშირდება თეგეტა აკადემიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას შიდა ფაქტორების გათვალისწინებით, ხოლო ის მაჩვენებელი რაც ვერ შესრულდა, პირდაპირ გარე ფაქტორებითაა განპირობებული, კერძოდ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაგვიანდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილი დასკვნის გადმოგზავნა, ავტორიზაციის საბჭოს ფორმირება და არ მოხდა საბჭოს სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრულ ჩამონათვალში თეგეტა აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, აქცენტები იქნა გაკეთებული 2019 წლის სამომავლო გეგმებზე და იმ ამოცანებზე, რომლებიც შეუსრულებლობის გამო 2018 წლიდან შესასრულებლად გადავიდა 2019 წელს. დამატებით იქნა განხილული თეგეტა აკადემიის ბათუმის ფილიალისთვის სამოქმედო გეგმის შემუშავება.